

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის სხდომის

N 12 ოქმი

24.12.2021

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი

თვითმმართველობის შენობა

რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბატონი მამუკა რიყამაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ირაკლი შენგელია, თეიმურაზ ნადირაძე, დიმიტრი მხეიძე, მანანა ჩიხლაძე, მაგდა
კოსტავა, მერაბ ჭოხონელიძე, ნინო ბიბილეიშვილი .

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბატონი ირაკლი ქარქაშაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი
ბატონი პეტრე ადამაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ვარლამ გობეჯიშვილი.

სხდომა გახსნა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თამაჯდომარემ, ბატონმა მამუკა რიჟამაძემ: მოგესალმებით, ქვორუმი გვაქვს მინდა წარმოგიდგინოთ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

ირაკლი შენგელია: ბატონო მამუკა, სანამ დღის წესრიგს წარადგენდეთ მინდა ორი სიტყვა ვთქვა, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა კომისიის წევრებს და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც მობრძანდით, დაინტერესდით ჩვენი ბიუჯეტის კომისიური განხილვით. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს გახლავთ, რომ მაქსიმალურად ბევრი ადამიანი იყოს ჩართული ბიუჯეტის ფორმირებაში, რაც შეიძლება მეტი მოქალაქე ჩაერთოს ბიუჯეტის განხილვაში ამიტომ მისასალმებელია თქვენი ჩართულობა. დიდი მადლობა მინდა გითხრათ სამოქალაქო სექტორს. დიდი მადლობა ბატონო ნოდარ, თქვენ განსაკუთრებით აქტიური ხართ ამ პროცესების მიმართ. მინდა აღვნიშნო, რომ წელს ბიუჯეტის პარამეტრები მოცულობითია და ნაშთის გათვალისწინებით საწყის ეტაპზე 88 00000-ზე გავდივართ. მინდა მკაფიო და ნათელი აზრი დავაფიქსირო, რომ ჩვენი მიზანი არ არის ბიუროკრეტიული და ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდა, პირიქით სხვაგვარად წარმოგვიდგენია. უბრალო მაგალითს გეტყვით თუ შეხედავთ საკრებულოს ადმინისტრაციულ ხარჯებს ის მნიშვნელოვნად შემცირდა, ხარჯებმა 75000 ლარით მოიკლო იმ მუხლებში, რომლებიც უშუალოდ საბიუჯეტო ხარჯებს ეხებოდა. მომავალი წლიდან ხელფასი ეზრდება აიპების თანამშრომლებს, პედაგოგებს, სპორტულ თუ საგანმანათლებლო სექტორში მომუშავე ადამიანებს. კიდევ ერთხელ დიდი

მადლობა მინდა ვუთხრა ყველა აქ მყოფ ადამიანს. დდი მადლობა ყურადღებისთვის სიტყვა გამიგრძელდა.

მამუკა რიჟამაძე: მოგესალმებით მივესალმები ყველა მოსულ სტუმარს, მადლობა მინდა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის. მეც მადლობით დავიწყებ მადლობა მინდა ვუთხრა კომისიის ახალ წევრებს. ვისურვებდი, რომ ჩვენი მუშაობა იყოს კონსტრუქციული, შედეგზე ორიენტირებული მე თქვენი მჯერა და თქვენი იმედი მაქვს. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო სამოქალაქო სექტორს მათ წარმომადგენელს ბატონ ნოდარ, თქვენ ყოველთვის აქტიური ხართ. მადლობა სერვისის მომწოდებლებს, ღია სახლს, ნაიოს, ხიდს და დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის წარმომადგენლებს. თქვენი ჩართულობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მადლობა თვითმართველობის წარმომადგენლებს მინდა, რომ ეს წელი იყოს კონსტრუქციული, შედეგზე ორიენტირებული და მინდა ვისურვო, რომ 2022 წელი იყოს ყველაზე დიდი პრობლემასთან პანდემიასთან გამარჯვების წევრი, ასევე მოგილოცავთ ყველას დამდეგ შობა-ახალ წელს, მრავალს დაგასწროთ ღმერთმა. დაუბრუნდეთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს, რომელსაც წარმიგვიდგენს მერიის სოცისლიურ საკითხთა სამსახურის უფროსი ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი.

ვარლამ გობეჯიშვილი: მოგესალმებით ბატონებო და ქალბატონებო, ყველას გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, ბედნიერი და წარმატებული წელი გქონდეთ ყველას, მადლობა მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისთვის.

მამუკა რიჟამაძე: მინდა განსაკუთრებული მადლობა გითხრათ თქვენ და თქვენს სამსახურს მუხლჩაუხრელი შრომისათვის. ბატონო ვარლამ სანამ საკითხების განხილვას დაიწყებთ, გთხოვთ, ყურადღება გავამახვილოთ ახალ პროგრამებზე.

ვარლამ გობეჯიშვილი: ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე რთული სამსახურია თქვენც იცით ამის შესახებ. დღეს წარმოდგენილი ვართ მთელი სამსახური და კონკრეტული საკითხის შესახებ შეგიძლიათ ინფორმაცია მიიღოთ პირადად პროგრამის შემქნელის მიერ. ბატონო მემუკა მეც მინდოდა შეთქვა, რომ

პროგრამების განხილვას დავიწყებთ ახალი პროგრამებით. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ პანდემიის დროს, როცა ყველა სამსახური დისტანციურად ახერხებდა მუშაობას ჩვენი სამსახური ხშირ შემთხვევაში სრული დატვირთვით მუშაობდა. კომისიის წევრები არიან ქალბატონი მაგდა და ბატონი დიმიტრი, რომლებმაც კარგად იციან თუ როგორი სწრაფად ჭირდებათ ბენეფიციარებს დახმარება, სერვისის მიწოდება, რომელიც მათ ეკუთვნის და ვერ გადადებ რეგულაციების გამო, რადგან მოქალაქე ვერ მოგვმართავს ელექტრონულად. ამით, მინდა ვთქვა, რომ ჩემი სამსახურის თანამშრომლები არიან ძალიან დატვირთულები ასეთი რეგულაციის პირობებში.

ბევრი ფიქრის და მსჯელობის შემდეგ შევძელით დახმარება კოვიდით დაავადებული პაციენტების. გვინდა 80 ლარით დავუფინანსოთ ლაბორატორიული კვლევები თითოეულ ბენეფიციარს.

მანანა ჩიხლაძე: ეს პროგრამა გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე?

ვარლამ გობეჯიშვილი: ეს პროგრამა არ მოიცავს მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, ამ პროგრამით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ვერ მოხვდა კლინიკაში ან კოვიდ სასტუმროში და ესაჭიროება ლაბორატორიული კვლევები. ბიუჯეტის თანხა ამ პროგრამის არის 300 000 ლარი.

თენურ ნადირაძე: რამდენჯერ შეიძლება წელიწადში მოგმართოთ ამ პროგრამით დახმარებისთვის?

ვარლამ გობეჯიშვილი: დახმარება ხდება წელიწადში ერთჯერადად.

ირაკლი ქარქაშაძე: ერთჯერადად სახელმწიფო აფინანსებს კოვიდ ინფიცირებული პაციენტების კვლევას კოვიდის დადასტურებიდან მეშვიდე - მერვე დღეს. ჩვენ შევდივართ პოსტ კოვიდური გართულებების დროს

დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ წელიწადში ერთხელ ბენეფიციალს გაეწევა 80 ლარის ლაბორატორიული კვლევების დაფინანსება.

თემურ ნადირაძე: ეს ექიმის მომართვის საფუძველზე ხდება?

ირაკლი ქარაქაშაძე: დიახ, უნდა იყოს ექიმის მომართვა, ფორმა N100 და საბუთი, რომ დადასტურებული აქვს კოვიდი.

ვარლამ გობეჯიშვილი: ვფიქრობდით, რომ დახმარება გაგვეწია მედიკამენტებით, მაგრამ ვერ მოხერხდა 14 დღის განმავლობაში არ შეიძლება ინფიცირებულის სოციუმში გამოსვლა და ჩვენს არ დავარდვიეთ რეგულაციები. დავთვალეთ, რომ 80 ლარით შეგვიძლია დავაფინანსოთ 3-4 კვლევა.

მამუკა რიყამაძე: რენდგენი თუ დასჭირდა მოქალაქეს შეიძლება თუ არა ამ პროგრამით დაუფინანსდეს რენდგენის კვლევა?

ირაკლი ქარაქაშაძე: თუ გართულებული კოვიდია რენდგენის კვლევას აფინანსებს სახელმწიფო, რის გამოც ჩვენ ლაბორატორიული კვლევით შემოვიფარგლეთ.

მაგდა კოსტავა: მოგესალმებით პირველი სხდომა ყველას გისურვებთ წარმატებას. ორი წელია აქტიურად ვარ ჩართული კოვიდის მართვაში და ყოველდღიური შეხება მაქვს, როგორც ამბულატორიულ ასევე სტაციონარულ პაციენტებთან. ნამდვილად შემძლია ვთქვს, რომ პოსკოვიდური პაციენტები საჭიროებენ კვლევას მეოცე დღესაც, თუმცა ყველა არა. ამიტომ ვფიქრობ რაღაც ბერკეტი არის საჭირო, რომელიც შეაფასებს ამ კვლევის საჭიროებას. იმიტომ, რომ მართლა მათ ჩაუტარდეთ კვლევა ვისაც ნამდვილად სჭირდება და ოჯახის ექიმების გადამზადება მოხდეს იმ კუთხით, რომ მხოლოდ და მხოლოდ რეალური საჭიროების შემთხვევაში მოხდეს აღნიშნული კვლევების დანიშვნა. ზუსტად ვიცი, რომ როცა ადამიანები გაიგებენ აღნიშნული პროგრამის შესახებ უკლებლივ ყველას მოუნდება აღნიშნული პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ჰოსპიტალში ნამკურნალებ თუ ბინაზე მყოფ პაციენტებს.

ვარლამ გობეჯიშვილი: პროგრამით მოსარგებლე არიან ის ბენეფიციარები ვინც ვერ გადავიდა კლინიკაში და ვერც კოვიდ სასტუმროში.

მამუკა რიუამაძე: თუ შეუძლია ბენეფიციარს ისარგებლოს ბინაზე მომსახურებით?

ვარლამ გობეჯიშვილი: ჩვენ გავცემთ საგარანტიო წერილს და მოქალაქე თვითონ წარადგენს კლინიკაში. ზუსტად ისე ფინანსდება ლაბორატორიული კვლევები, როგორც ვანხორციელებთ მკურნალობის და მედიკამენტების დაფინანსებას. წარმოადგენს ოჯახის ექიმის მიერ გაცემულ ფორმა 100 და მიიღებს საგარანტიო წერილს.

თემურ ნადირაძე: ორი სიტყვით მინდა ვთქვა, რომ ჯანდაცვის და სოციალური საკითხები არის ლაკმუსის ქაღალდით თუ რამდენად ზრუნავს თვითმართველობა შეჭირვებულ ხალხზე და ქალაქის მოსახლეობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამა, რადგან ყველანი კოვიდით ვცხოვრობთ და კოვიდით გადატანის შემდეგ უყურადღებოთ გვჩება ეს ხალხი. კარგად უნდა ვიფიქროთ ამ პროგრამის მართებულობაზე, რადგან მომართვიანობა იქნება დიდი და უკურეაქცია არ უნდა მივიღოთ.

ირაკლი ქარქაშაძე: პირველად ვიწყებთ ამ პროგრამას, თავიდანვე პროგრამას მივაქცევთ დიდი ყურადღებას თუ რაიმე ხარვეზი გამოვლინდება მაშინვე შევასწირობთ. ამ ეტაპზე გათვალისწინებული არის ასეთი რამ. პაციენტი წარომადგენს ფორმა N100, ექიმის რეკომენდაციას და კოვიდის დამადასტურებელ ცნობას, ჩვენ გავცემთ საგარანტიო წერილს. ჩვენი პრიორიტეტი არის ის, რომ კვლავ ჩატარდეს ჩვენსავე დაქვემდებარებაში მყოფ მეოთხე პოლიკლინიკაში, თუმცა ეს არ არის ჩამკეტი, თუ პაციენტს აქვს სურვილისხვა კლინიკაშიც შეუძლია ჩატაროს კვლევა. ჩვენს პრიორიტეტს წარმოადგენს მეოთხე პოლიკლინიკა, რადგან ის არის ჩვენს დაქვემდებარებაში და მას აქვს ყველანაირი რესურსი, რომ აღნიშნული კვლევები სრულად ჩატაროს.

მამუკა რიყამაძე: შშმ პირები თუ ვერ ახერხებენ ბინაზე მისვლას შეუძლია თუ არა კლინიკას მოემსახუროს ბინაზე?

დიმიტრი მხეიძე: ძალიან კარგი პროექტია, ჩემი სურვილი იქნება ბიუროკრატიული საკითხები მოვაგვაროთ, რომ მოქალაქემ მარტივად და სწრაფად შეძლოს მომსახურების მიღება როგორც ქალაქის ისე ქვეყნის მასშტაბით, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხალხი იყოს მაქსიმალურად ინფორმირებული აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. კარგი იქნება თუ ინფორმაციას მიიღებს ჩვენი ყველა მოქალაქე და ეცოდინებათ თუ როგორ ისარგებლონ ამ პროგრამით.

მერაბ ჭოხონელიძე: მოგესალმებით მინდა წარმატება ვუსურვო კომისიას, ერთი კითხვა მაქვს თუ ექიმისგან პაციენტმა მოითხოვა აღნიშნული კვლევის ჩატარება, რის საფუძველზე შეგვიძლია დახმარება უთხრათ უარი.

ირაკლი ქარქაშაძე: ჩვენ ვერ შევალთ ექიმის სივრცეში ეს სრულად მისი გადასაწყვეტია. აქვს თუა არ ის ანამნეზი ეს ოჯახის ექიმმა უნდა გადაწყვიტოს ჩვენ გაგვიჭირდება ამის დიფერენცირება.

მაგდა კოსტავა: ჩემი გამოცდილებით მინდა გითხრათ, როდესაც მოდის პაციენტი და დანიშნული აქვს რენდგენული კვლევა აქიოტაქს ტებს და ითხოვს კატე კვლევას, ან თუ აქვს სისხლის ანალიზი და დედიმერი, გამოხატავს აგრესიას, რომ ჩაუტარდეს ცე რეაქტიული ანალიზი. მნიშვნელოვანი პროგრამაა ჩვენთვის. მომწოდებელი, რომ მეოთხე პოლიკლინიკა იყოს, რაღაც დოზით კარგი იქნება განმარტება გააკეთოს რატომ არის პრიორიტეტი მეოთხე პოლიკლინიკა.

ირაკლი ქარქაშაძე: პრიორიტეტი მივანიჭოთ, რადგან მეოთხე პოლიკლინიკა 100 პროცენტით ჩვენი საკუთრებაა, მაგრამ ჩვენ იმპერატიულად მხოლოდ მას არ მივანიჭეთ უპირატესობა. ბენეფიციალს შეუძლია მიმართოს ნებისმიერ კლინიკას, რომელიც მოემსახურება აღნიშნული სერვისით. მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო აღნიშნული პროგრამა არის საპილოტე, დავაკვირდებით

პირველივე დღეებიდან და შემდეგ შევიტანთ ცვლილებებს. თუმცა ვფიქრობ, რასაც თქვენ ბრძანებთ, რომ კონკრეტული ანამნეზის მქონე პაციენტებზე იყოს დაინტერესება ჩვენთვის ეს აზრი მიგნება შეიძლება იყოს.

ირაკლი შენგელია: ჩვენ თუ კონკრეტულ პოლიკლინიკას ვირჩევთ მაშინ აუცილებელია, რომ ქონდეს რაღაც სამართლებრივი გამართლება. აქ გვაქვს ორი შემთხვევა პირველი ჩვენ შეგვიძლია ყველა სერვის მიმწოდებელს მივცეთ აღნიშნული პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა ან ვირჩევთ მეორე გზას, კონკრეტულ კლინიკას მივცეთ საშუალება, რომ გაატაროს აღნიშნული პროგრამა. გარდა იმისა, რომ კლინიკები არათანაბარ პირობებში იქნებიან თან მოქალაქეებისთვის არ იქნება უპრიანი სახლის გვერდით, რომ შეიძლება მიიღოს სამედიცინო მომსახურება და ჩვენ შეიძლება გავურთულოთ და ორი ტრანსპორტის გამოცვლა დასჭირდეს მეოთხე პოლიკლინიკამდე მისვლაში. თან ისიც ცუდი იქნება, რომ დავიწყოთ ამ პროგრამის განხორციელება და მერე გავაჩეროთ, უმჯობესია ჩაკვეთოთ რაღაცით, რომ მერე არ მოგვიწიოს პროგრამის გაჩერება.

ირაკლი ქარქაშაძე: ავლნიშნავ ისევ, რომ გამორიცხულია, რომელიმე კლინიკას უარი ვუთხრათ თუ ფორმა N100-ში მითითებული იქნება კონკრეტული კლინიკა.

ირაკლი შენგელია: კონკრეტული და სიაინფორმაციო კარგი და დიდი კამპანია არის დასაგეგმი, რომ ხალხმა გაიგოს აღნიშნულ პროგრამაზე და არამარტო აღნიშნულ პროგრამაზე. ერთობლივად უნდა დაგვეგმოთ საინფორმაციო კამპანია.

პეტერ ადამაძე: როგორც ვიცით ეს არის ბიუჯეტის პროექტი, როგორც კი დამტკიცდება მაშინვე ჩავუშვებთ საინფორმაციო კამპანიაში დაიბეჭდება ფლაერები, კიდევ მეტად ჩაერთვება ადმინისტრაციული ერთეულები და სოციალურ მედიასაც გამოვიყენებთ, ასევე როგორც კი ბიუჯეტი დამტკიცდება მორბენალი სტრუქტურებიც გაჩნდება ადგილობრივ მედიაში.

ვარლამ გობეჯიშვილი: ესევე ცვლილებაა ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომის პროგრამაში, ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ლეიკოზით და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებული 0-18 წლამდე ასაკის პირები. ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს მატერიალური დახმარება გაეწევათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადების მომართვის საფუძველზე, სამ თვეში ერთხელ საბიუჯეტო წლის ბოლომდე . დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 200 ლარის ოდენობით. დახმარების მთხოვნელი განცხადებასთან ერთად წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ჯანმრთელობის ფორმა №100-ს, საბანკო ანგარიშის (ლარი) რეკვიზიტს.

მინდა წარმოგიდგინოთ მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლის ბიუჯეტი 330000 ლარადმდე გაიზარდა, როცა ამ პროგრამის ბიუჯეტი გასულ წელს 250000 ლარს შეადგენდა. კონკრეტულად 6 სოციალური კატეგორიის მოქალაქეებზე გვაქვს გათვლილი მედიკამენტების დახმარების პროგრამა. 65000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს ემსახურებოდა აღნიშნული პროგრამა, ეხლა კი 70000 მდე გავზარდეთ. როგორც აღნიშნე მომართვიანობა ძალიან დიდია. ასევე აღნიშნული პროგრამა ემსახურება მკვეთრად შეზღუდული მხედველობის მქონე მოქალაქეებს. გვთხოვა უსინათლოთა კავშირის ხელმძღვანელმა და ჩვენს ავსახეთ ტექსტში. ასევე ჰემოდიალიზე მყოფი პაციენტების დახმარების პროგრამა დარჩა იგივე. მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების (ნულოვანი მხედველობის) მქონე პირებზე დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა საქართველოს უსინათლოთა კავშირის ქუთაისის ფილიალის მომართვის საფუძველზე შემდეგი თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენით: პირადობის მოწმობის

ასლი, შშპ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან, ანგარიშ-ფაქტურა ავთიაქიდან.

სამედიცინო დახმარების პროგრამაშიც არც ცვლილებები დახმარებით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, (გარდამიპირებისა, რომლებიც სარგებლობს მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის 100 % დაფინანსებით) პირები წელიწადში ერთხელ, 1000 /ათასი/ ლარის ფარგლებში, გამონაკლის წარმოადგენს ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირები რომლთაც დაუფინანსდებათ აგრეთვე სამედიცინო მომსახურებები, რომელიც არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში 1500 ლარის ფარგლებში. რადიოლოგიური და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის შემთხვევაში (ინვაზიური, არაინვაზიური,) დახმარება გაიცემა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100000 დადაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებზე, შეზღუდული შესაძლებლობის სატატუსის მქონე, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირებზე. პროგრამით დაფინანსდება აგრეთვე 0-18 წლამდე ასაკის პაციენტების ქირურგიული ოფთალმოლოგია, როლიც არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, არაუმეტეს 1000 ლარის ფარგლებში. ყველა სხვა შემთხვევაში დახმარების საკითხი განიხილება და გადაწყდება დაავადების სიმძიმის, მკურნალობის მეთოდის, ღირებულების, ბენეფიციარის მატერიალური მდგომარეობის მოკვლევის საფუძველზე და სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

მამუკა რიჟამაძე: მინდა, რომ მოსახლეობამდე მივიდეს კარგად ინფორმაცია, რომ ონკოლოგიურ პაციენტებს გასული წლებისგან გასხვევებით სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ ერთჯერადად სრულად შეუძლიათ 1500 ლარის გამოყენება. მადლობა, მინდა გადავუხადო აღმასრულებელს, რომ ეს ჩემი რეკომენდაცია გაითვალისწინა.

ვარლამ გობეჯიშვილი: როდესაც იქნება პირველი საბიუჯეტო ცვლილება გვინდა, რომ ანალუგიურად კარდიოლოგიაც დავაფინანსოთ, სურვილის შემთხვევაში სრულად რომ გამოიყენოს ბენეფიციარმა 1000 ლარი. მომართვიანობა აქაც დიდია,

ირაკლი შენგელია: 2018 წელს შემოვიტანეთ კორონალოგრაფიული კვლევის დაფინანსება, კარგია და აუცილებელია კვლევების დაფინანსება.

ვარლამ გობეჯიშვილი: არ შემიძლია არ ვისაუბრო აუტისტური სპექტრით დაავადებული ბავშვების დახმარების პროგრამაზე, კარგია რომ აქ წარმოდგენილები არიან სერვისის მიმწოდებლები და მშობლებიც, ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელია, სულ მცირე, „ADOS-2“ აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგი, „ADOS“ ტესტირების შედეგი; ამასთან, სერვისით უწყვეტად სარგებლობისათვის, ყოველი მომდევნო წლის დასაწყისში უნდა იქნეს წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მიმწოდებელთან, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში გაჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, ახალი მოსარგებლის ჩართვა ხდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (მშობელი/ კანონიერი წარმომადგენელი). როგორც სერვისის მიმწოდებელთან, ასევე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ქვეპროგრამაში ჩართვისას, პრიორიტეტი მიენიჭება მომლოდინეთა რიგში/სიაში მყოფ სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომლის ქულა არ აღემატება 70000-ს; ასევე, იმ პირს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა განმახორციელებელს განცხადებით. პროგრამული წლის ათვლა იწყება მომდევნო წლის 1-ელ იანვარს. ქვეპროგრამით განსაზღვრულ სერვისებს წარმოადგენს: მიმწოდებლის მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური

განვითარების წლიური გეგმის შედგენა; ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალურ – ემოციური, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. 30 ბავშვია არის მომლოდინე, რეალურად 20 ბავშვი დაემატა ამ რამდენიმე დღეში. თეიმურაზ ნადირაძე: კარგი იქნება, თუ რაიონებშიც გაჩნდება ეს პროგრამა, გაუჭირდება მხოლოდ ქუთაისს გაწვდეს, რეგიონის მოსახლეობასაც.

ირაკლი შენგელია: კარგი იქნება თუ მივმართავთ სახელმწიფო რწმუნებულს ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ იქნებ როგორმე რეგიონებმაც გამოეცხადათ რესურსი აღნიშნული პროგრამის შემუშავების და დაფინანსებისთვის. ჩვენც გავუზიარებთ, ჩვენს გამოცდილებას. ეს პროგრამა უნდა გადაიქცეს სახელმწიფო პროგრამად, რადგან მუნიციპალიტეტი რეალურად ვეღარ შეძლებს აღნიშნული პროგრამის დაფინანსებას, ტენდენციას რომ ვაკვირდებით, სტატისტიკა ძალიან მზარდია.

დომიტრი მხეიძე: გეთანხმებით, ბატონო ირაკლი, მე-9 მოწვევის პარლემენტის პერიოდში იყო მაგაზე აქტიურად საუბრები, ეხლა ვინც არის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე მაშინაც ის იყო და ის გააგრძელებს იგივე პოლიტიკას დარწმუნებული ვარ.

თეიმურაზ ნადირაძე: ასაკობრივი ზღვარი როგორ არის?

ირაკლი ქარქაშაძე: 2 წლიდან 15 წლამდე

ქრისტინე ხუციშვილი (მშობელი): ჩვენ ველოდით, რომ აღნიშნულ პროგრამაში იქნებოდა ცვლილება და ასაკობრივი ზღვარი აიწევდა

მამუკა რიყამაძე: ჩვენ წინა კომისისზე რეკომენდაციაც მივეცით, მაგრამ დაბრუნებულ ბიუჯეტში ისეც 15 წელია, კიდევ ერთხელ მინდა მივმართო მივმართოთ აღმასრულებელს, რომ შეიტანოს ცვლილება. გაიზარდოს 18 წლამდე ამოისთვის დაგვჭირდება თქვენი კენჭის ყრა.

ქრისტინე ხუციშვილი: მინდა ჩემგან გაიგოთ, თუ რამდენამ მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამა ჩვენი ბავშვებისთვის. ეს არის დიაგნოზი, რომელიც მტელი ცხოვრება მიყბა ადამიანს, და იუნდა იცხოვროს ამ დიაგნოზთა ერთად, 15 წლის

შესრულების შემდეგ, ჩვენი შვილები რჩებიან ქუჩაში, ამიტომ კიდევ ერთხელ გთხოვთ, რომ გაითვალისწინოთ ჩვენი თხოვნა. მითუმეტეს რომდესაც ეს არის გარდატეხის ასაკი და სირთულეები ამატებს ამ დროს.

მამუკა რიუამაძე: მე კითხვით გადავალ მიმწოდებელთან, ყველაზე მაღალი რამდე წლის გყავთ ბენეფიციარი? თითოეულმა რომ გითხრათ,

ზაზა პატარიძე: მოგესალმებით, ჩვენთან ამ ეტაპზე არის 14 წლის 2 ბავშვი.

ქრისტინე ხუციშვილი: 15 წლის ხდება სულ რამდენიმე ბავშვი, უბრალოდ მშობლებმა ადრიანად დავიწყეთ ამაზე ზრუნვა. ეს საკითხი სურპრიზი იყო ეხლა ჩვენთ, ჩვენ ველოდებოდით ამ საკითხის უკვე სრულად დაგაწყვეტა.

მერაბ ჭოხონელიძე: ასაკის მატებასთან ერთად მომსახურეობაც საჭიროებს გაზრდას??

ზაზა პატარიძე: დიახ, რათქმაუნდა, მკურნალობაც იზრდება და იცვლება. ტრანსფორმაციას განიცდის მკურნალობა, სულ სხვა თერაპიებია საჭირო 15 წლამდე და 15 წლის შემდეგ,

ქრისტინე ხუციშვილი: თბილისში არის აღნიშნული პროგრამა, მაგრამ ეგრე ძირეულად ტრანსფორმაციას არ იცლის. განსაკუთრებულ რაიმე დანახარჯებს არ საჭიროებს.

ზაზა პატარიძე: თბილისში 1 წელია რაც დაიწყეს და შეიძლება ესე ძირეულად არ არის ჯერ შესასწავლია.

ხატია მხატვარი: მე მაძარდებს რამდენად სრულ სერვის გავუწევთ, ყველა ბავშვს ჭირდებათ ინდივიდუალური და ალტერნატიული მიდგომა. კარგად უნდა ვიფიქროთ თუ დავაფინანსებთ რა სერვისის დაფინსება უნდა მოხდეს, მესმის რომ საკრებულო უყურებს ბავშვების რაოდენობას და ბიუჯეტს, მაგრამ მე მაძარდებს მზარდ რაოდენობაზე სერვისის მიწოდება, ყველა დაავადებას გაუსწრო აუტისტური სპექტრის ბავშვების რაოდენობამ.

ირაკლი ქარქაშაძე: ამ პროგრამაზე მხოლოდ ასაკის გაზრდა არ არის მნიშვნელობანი, კარგად დასახვეწია რა თერაპიებს ვთავაზობთ ბენეფიციარერბს. თუ

ჩვენ დავადასტურებთ, რომ რომელიმე თერაპია მნიშვნელოვანია, ჩვენ ნეგატიურად არ ვართ განწყობილი და ჩვენ ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებით.

ქრისტინე ხუციშვილი: უბრალოდ ამ ბავშვებს თუ სერვისი არ გაეწევათ შეიძლება ჩატარებული მკურნალობა წყალში ჩაიყაროს,

ირაკლი შნგელია: ეს ბავშვები მკურნალობის გარეშე არ დარჩებიან, ჩვენ ვმუშაობთ რა სახის სერვისი მივაწოდოთ. ეს არის ჩემი პასუხი, რომელი პროგრამის ფარგლებში მოხდება დაფინანსება ამას თქვენთვის მნიშვნელობა არ აქვს ეს პასუხი მე როგორც მშობელს დამაკმაყოფილებდა.

თეიმურაზ ნადირაძე: 18 წლის შემდეგ რა ხდება??

ქრისტინე ხუციშვილი: სამწუხაროდ 18 წლის ზემოთ საქართველოში არაფერი არ ხდება, მხარდაჭერის გარეშე რჩებიან ბენეფიციარება და მშობელს მარტო უწევს გამკლავება ამ დიაგნოზთან. ამოტომ 18 წლამდე მაინც უნდა იყოს შემსუბუქებული ეს მდგომარეობა.

თეიმურაზ ნადირაძე: იმდენად მზარდია ბენეფიციარების რაოდენობა აუცილებლად საჭირო გახდება ცენტრალური ბიუჯეტის ჩართვა.

ნინო კილაძე: არის რეგიონება სადაც აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს საერთოს არ აქვთ არანაირი დახმარება, მათზე არ არის არანაირი პროგრამა, ჩემი თხოვნა იქნება ბატონო მამუკა, რომ გაუზიაროთ თქვენი გამოცდილება რეგიონებს, რომ სხვაგანაც ფაჩნდეს მსგასი პროგრამები.

მამუკა რიყამაძე: აიცილებლად, მე მზაობას ვაცხადებ.

ვარლამ გობეჯიშვილი: ჩვენ ვანხორციელებთ, შინ მოვლის პროგრამას, საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასს“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე „შინმოვლის“ ქვეპროგრამით სარგებლობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ბენეფიციარები, რომლებიც იმყოფებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა შეადგენდეს არაუმეტეს 100000-ს, მიჯაჭვულნი არიან საწოლს, ან სახლს და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს

საცხოვრებელ ადგილზე ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბენეფიციარების დაავადებების გართულებების პრევენცია (ნაწოლები, ქირურგიული გადახვევები და კონტრაქტურების პრევენცია შესაძლებლობის ფარგლებში), საჭიროების შემთხვევაში: ბინაზე ცხელი სადილის მიწოდება, პაციენტის მოვლის მიზნით ოჯახის წევრების დატრენინგება, მედიკამენტებითა და ჰიგიენური მოვლის საშუალებებით უზრუნველყოფა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიმართვის საფუძველზე, ბენეფიციარების შერჩევას ახდენს საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“. განსაკუთრებულ შემთხვევებში დახმარების საკითხი გადაწყდება დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. „საქართველოს წითელ ჯვარს“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე „შინმოვლის“ ქვეპროგრამით სარგებლობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ბენეფიციარები, რომლებიც იმყოფებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა შეადგენდეს არაუმეტეს 100000-ს. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვა;საექიმო და საექთნო მომსახურება;მედიკამენტების მიწოდება;პერსონალური მოვლა; მზა ცხელი სადილის ბინაზე მიწოდება; საყიდლები, ბინის დალაგება, საკვების მომზადება, ჭურჭლის და სარეცხის გარეცხვა; საექთნო და პერსონალური მოვლის საშუალებებით უზრუნველყოფა; ტექნიკური დახმარების ბინაზე შესაკეთებელი სამუშაოების ჩატარება; სოციალური დახმარება, ადვოკატირება, მედიაცია; ფიზიკური გარემოს ადაპტაცია; ოჯახის წევრების დატრენინგება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიმართვის საფუძველზე, ბენეფიციარების შერჩევას ახდენს „საქართველოს წითელ ჯვარი“. განსაკუთრებულ შემთხვევებში დახმარების საკითხი გადაწყდება დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

უნდა ავღნიშნო რომ, ეხლა ორივე კომპანია, კარიტასიც და წითელი ჯვარიც დასაფინანსებელი თანხის მომატების თხოვნით არიან შემოსულები.

რაც შეეხება მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, აქაც საბედნიეროდ მომართვიანობა გაიზარდა და იძულებული გავხდით მოგვემატებინა 50 000 ლარი, გვეკონდა გასულ წელს 940 000 ლარი და გაიზარდა 990 000 ლარამდე, თითოეულ ბენეფიციარს კი არ მოემატა, მათი რაოდენობა მოიმატა, და გაიზარდა მომართვიანობა მამუკა რიუამაძე: რას ითვალისწინებს პროგრამა?

ვარლამ გობეჯიშვილი: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრები მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0-დან 70 000-მდე, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე გაეწევათ მატერიალური დახმარება თვეში 40 (ორმოცი) ლარის ოდენობით, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება თითოეულ არასრულწლოვან შვილზე თვეში 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით. სავალდებულოა დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახის ორივე მშობელი რეგისტრირებული და მცხოვრები იყოს ქალაქ ქუთაისში დახმარების დანიშვნამდე არანაკლებ ერთი წლისა. მრავალშვილიან ოჯახებს დახმარება დაენიშნებათ განცხადებით მიმართვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. 18 წლის შესრულების შემთხვევაში არასრულწლოვან ბავშვს დახმარება შეუწყდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. დახმარებით ვერ ისარგებლებს არასრულწლოვანი ბავშვი, თუ ის იმყოფება სახელმწიფო კმაცოფაზე. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 5 (ხუთი) და მეტი შვილი და ამათგან ერთი მაინც არის 18 (თვრამეტ) წლამდე არასრულწლოვანი, მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად, კერძოდ, 5 (ხუთი) შვილიან ოჯახს – 500 ლარის ოდენობით, 6 (ექვსი), 7 (შვიდი) და 8 (რვა) შვილიან ოჯახს დახმარება გაეწევა – 700 ლარის ოდენობით, 9 (ცხრა) და მეტი შვილიანი ოჯახის დახმარება შეადგენს 1000 ლარს. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც 2022 წელს შეეძინებათ მე-4, მე-5 და შემდეგი შვილი, მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად. მე-4 შვილის შეძენისას დახმარება გაეწევა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, მე-5 შვილის შეძენისას – 1100

(ათასასი) ლარის ოდენობით, მე-6 შვილის შეძენისას - 1200 (ათასორასი) ლარის ოდენობით, მე-7 შვილის შეძენისას - 1300 (ათასსამასი) ლარის ოდენობით, მე-8, მე-9 და ა.შ. შვილის შეძენისას - 1400 (ათასოთხასი) ლარის ოდენობით. მრავალშვილიან ოჯახებს, რომლეთაც ჰყავთ თუნდაც ერთი არასრულწლოვანი და ვერ სარგებლობენ სახელწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით, თვეში მიიღებს 20 ლარის ოდენობით ელექტროენერჯის თანადაფინანსებას. გვქონდა შემთხვევა, როდესაც შეეძინათ 3 ტყუპი, ამ ოჯახმა ისარგებლა ყველა დახმარებით, ის რომ მრავალშვილიანი დედა გახდა, ის რომ შეეძინა 4, 5 და 6 შვილი. მინდა რომ ესეთი პოზიტივით დავასრულო ეს პროგრამა.

ესევე ვანხორციელებთ, სოციალურად დაუცველი წყვილების ხელშეწყობის პროგრამას, პროგრამით მოსარგენლები არაინ ქალაქ ქუთაისში არანაკლებ 1 წლის მანძილზე რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების მიერ ახლადშექმნილი ოჯახების ხელშეწყობასა და მხარდაჭერას. ქვეპროგრამით ისარგებლებს ახალდაქორწინებული წყვილი, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000-ს. ახალდაქორწინებული წყვილი ერთჯერადი დახმარების მისაღებად, ქორწინებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წერილობით მიმართავს ქალაქ ქუთაისის მერს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს წყვილის პირადობის მოწმობა, ქორწინების მოწმობა და საბანკო რეკვიზიტები. დახმარება გაიცემა ერთჯერადად, არაუმეტეს 500 ლარისა.

მამუკა რაუამაძე: გასულ წლებში პროგრამა ითვალისწინებდა, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი უნდა ქონოდა წყვილს და მომართვიანობაც არ იყო დიდი, კარგია, რომ ეხლა საკმარისია ისეც, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი საკმარისია ქონდეს ერთ-ერთს მაინც.

ვარლამ გობეჯიშვილი: აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ გვაქვს მრავალშვილიანი ოჯახების ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა, ქვეპროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მრავალშვილიანი

ოჯახების გაძლიერებას, რომლებსაც აქვთ სურვილი, ან უკვე ეწევიან მიკრო, ან მცირე მეწარმეობას. პროექტების დაფინანსება მოხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. ბიზნესგეგმის განხილვა და მისი შეფასება მოხდება მოქალაქის განცხადების/სხვა უწყების მომართვის საფუძველზე საქმის განხილვას დაიწყებს სამუშაო ჯგუფი. საკითხის შესწავლის შემდეგ განიხილავს საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება შემდეგი წარმომადგენლობით: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; სოციალურ საკითხთა სამსახური; საფინანსო სამსახური; იურიდიული განყოფილება; სოციალური მომსახურების სააგენტო; დასაქმების ეროვნული ბიურო; მეწარმე ქალთა ფონდი; „World Vision“ საქართველო და სხვა. პროექტები შეფასდება სამუშაო ჯგუფის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად. თანხა ბენეფიციარებზე გადანაწილდება პროექტის ღირებულებისა და თანაფარდობის პრინციპით. ამ პროგრამაში იყო საწმოდგენილი პროექტები, მაგრამ სამწუხაროდ ვერ გამოიკვეთა ისეთი პროექტები რომლებიც სიცოცხლის უნარიანი იქნებოდა, და კომისიის წევრებმაც ვერ მიიღეს გადაწყვეტილება რომელიმეს გამოვლენის შესახებ. გვაქვს ერთი მიგნება, მიმდა თქვენი მხარდაჭერა მსგავსად 2019-2020 წლებისა როცა მერიამ კონკურსის წესით შეარჩია არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დახელოვნებულები არიან მსგავსი პროექტების მართვაში და შუქლიათ უკეთესად განახორციელონ ეს პროგრამები. მიმდა თქვენი დახმარება აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში. 25 000 ლარია შშმ პირთა ნაწილში, ხოლო 75 000 ლარს ვტოვებთ მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამაში.

მამუკა რიყამაძე: აქვე მიმდა ვთქვა, რომ მეც კომისიის წევრი ვარ და ძალიან რთულად მოგვიხდა გადაწყვეტილების მიღება, დავამატებ იმასაც რომ გუშინ მე და ბატონი ვარლამი გახლდით შეხვედრაზე სადაც განვიხილეთ შშმ პირთა რეპროდუქციული დახმარების პროგრამა.

ვარლამ გობეჯიშვილი: მე ორი სიტყვით განვმარტავ ორი შეხვედრა გვქონდა შესამამის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, რომლებმაც გვითხრეს რომ შშმ

პირები, ამ შემთხვევაში ქალბატონები, რომლებიც რეპროდუქციულ საკითხებაზე ვერ იღებენ შესაბამის მომსახურებას, კლინიკებში, იქმდე არიან ადამიანები ვისაც შვილის გაჩენა უნდათ და მინიმალურ წინააღმდეგობას ვერ ლახავენ.

მამუკა რიყამაძე: ფორმა 100 ვერ კითხულობენ.

ვარლამ გობეჯიშვილი: და აგრეთვე კლინიკები, არ არის ადაპტირებული.

ირაკლი შენგელია: მე მგონდა გარკვეული მგრძობელობა ამ საკითხთან დაკავშირებით, გენდერულ საბჭოსთან ერთად, ნათლად ჩანს ეს პრობლემა. საკმაოდ სავალალოა, მდგომარეობა, რომ მსგავს მორწყვად ჯგუფს არ აქვთ საშუალება ისარგებლონ სამედიცინო სერვისებით. კარგი იქნება, კომისიურ ფორმატშიც შევქმნათ სამუშაო ჯგუფი. დღესაც შეხვედრა მქონდა შშმ პირ ქალებთან ჩვენ საუბარი გვექონდა ერთჯერად დახმარებებზე, გარკვეული მექანიზმის შექმნაზე რომელიც მათ მხარდაჭერას დააძლიერებს.

მაგდა კოსტავა: მე მიმიწვდება ხელი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომლებიც დაგვეხმარება, როგორც შინაარსობრივად ესევე ტექნიკურად აღნიშნული საკითხის ორგანიზებაში.

მამუკა რიყამაძე: დიდი მადლობა, კარგად გავიაროთ ეს საკითხი, რომ მერე კარგად მივაწოდოთ ბენეფიციარებს.

მაგდა კოსტავა: მე ვიცი, რომ დაინტერესდება ეს ორგანიზაციები და ჩვენ დიდ დახმარებას გაგვიწევენ.

ვარლამ გობეჯიშვილი: ეს მოგვცემს შთაგონებას, რომ სწორად დავგეგმოთ ახალი ქვეპროგრამა.

არ მინდა გამოგვრჩეს ეპილეფსიით დაავადებულთა დახმარების პროგრამა, ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები. დახმარების მიღება მოხდება ვაუჩერისა და დანართის გამოყენებით, რომლის მოცულობა განისაზღვრება ყოველთვიურად, თითოეულ ბენეფიციარზე ინდივიდუალურად ფორმა N100-ის მიხედვით, არაუმეტეს 70 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით, აღნიშნული პროგრამით არ

დაფინანსდება ის ანტიკონვულსანტები, რომლებიც გათვალისწინებულია ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. ამასთან, თითოეულ ბენეფიციარზე მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, დახმარება გაიცემა სამ თვეში ერთხელ და შესაბამისად, დახმარების მიღება განხორციელდება არაუმეტეს 210 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით. ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ფორმა N100 და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ლიმიტს ზემოთ დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების შესწავლის საფუძველზე გამონაკლის შემთხვევაში.

მივედი, მაგნიტურ ქვისამდეც, ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ომისა და საბრძოლო მოქმედებების შშმ ვეტერანები. ქვეპროგრამა ითვალისწინებს შავი ზღვის კურორტზე (მაგნიტური ქვიშა) სასტუმროს მომსახურების ხარჯების ვაუჩერულ დაფინანსებას. ვაუჩერით მოსარგებლე თავად ირჩევს მომსახურების მიმწოდებელ მხოლოდ ერთ სასტუმროს და სერვისის პირობებს. ერთ ადამიანზე მომსახურების ღირებულება შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს; ქვეპროგრამის მოსარგებლეებზე ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გაიცემა ერთი ვაუჩერი. ვაუჩერის მისაღებად სოციალურ საკითხთა სამსახურს უნდა მიმართოს 2022 წლის 20 სექტემბრამდე. ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვროს გაცემიდან 1 ოქტომბრამდე. ვაუჩერის განაღდება სერვისის მიმწოდებლის მიერ სავალდებულოა მომსახურების დასრულებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში. სერვისის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს: ა) ვაუჩერი (დედანი) და ვაუჩერით მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; ბ) სერვისის მიმწოდებლის გაწეული მომსახურების ინვოისი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სერვისის მიმწოდებლის დასახელება და საინდეფიკაციო ნომერი; საბანკო რეკვიზიტები; მომსახურების გაწევის ადგილის მისამართი; ვაუჩერით მოსარგებლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი; ვაუჩერით მოსარგებლის მიერ საკურორტო

მომსახურების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღი; სერვისის მიწოდებისათვის ასანაზღარებელი თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საკურორტო მომსახურების 1 ბენეფიციარის მომსახურების ღირებულებას, 250 ლარს; სერვისის მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა; გ) ინვოისი შედგენილი უნდა იქნეს ვაუჩერით მოსარგებლის მიერ საკურორტო მომსახურების დასრულების შემდეგ. დ) გაწეული მომსახურების აქტი, გაფორმებული სერვისის მიმწოდებელსა და ბენეფიციარს შორის, მიღებული მომსახურების დღეების გათვალისწინებით. თანდართული მომსახურების მიმღები პირის მიერ თითოეულ დღეზე ხელმოწერით დადასტურებული და სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით.

ირაკლი ქარქაშაძე: აღნიშნული პროგრამა 2021 წლამდე ფუნქციონირებდა შემდეგ ნაირად, მერია აცხადებდა ტენდეს, და შემდეგ ტრანსფორტირების საკითხში ჩვენ შევდიოდით, რაზეც აუდიტიდან მივიღეთ შენიშვნა, 2021 წლიდან შევცვალეთ და გავხადეთ ვაუჩერული, ამას ქონ და მიზეზის ის რომ როდესაც მერია აცხადებს ტენდერს და ყიდულობს მომსახურებას, საუბარია სასტუმროს მომსახურებაზე, ტრანსფორტირებაზე, კვებაზე და ასე შემდეგ. ჩვენ უკვე მოკლებული ვიყავით ეფექტურ ბერკეტებს ხარისხის მხრივ, და არაერთი არასასიამოვნო ფაქტი დაფიქსირდა რომ კვებასთან დაკავშირებით არ იყო ის სერვისი მიწოდებული, და გვიწევდა ჩვენი თანამშრომლის გაშვება როგორც მეთვალყურე, აქედა გამომდინარე ეს კომპლექსურ სახეს ღებულობდა რაც მიზანთან არ იყო კავშირში. ამიტომ კონსულტაციების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ გაგვეხადა ეს მომსახურება ვაუჩერული პრინციპის, და თვითონ ბენეფიციარს განესაზღვარა უკერში დასვენება რომელ სასტუმროში უნდოდა, რადგან ბავშვზე და გამცილებელზეა საუბარი 500 ლარი გამოდის მინიმუმ 6 დღე, ეს ბაზარზე არსებული ფასებიდან გამომდინარე სავსებით საკმარისია. აუიოტაჟი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ვინც ადრე სარგებლობდა ამ პროგრამით, ვეღარ გახდნენ ამ პროგრამის ბენეფიციარები, თუმცა აქ ერთი მნიშვნელოვანი რამ არის, რაზეც არავინ აკეთებდა მათი მხრიდან აპელირებას,

ეს პროგრამა ემსახურე მაგნიტურ ქვიშაზე ძვლის განვითარებას, რთულად დასაჯერებელია ჩემთვის, რომ 55 წლის ვეტერანს რამდენად ესაჭიროება ძვლის გამაგრება, მაგნიტური ქვიშით და ამ პროგრამით სარგებლობა, აქედან გამომდინარე მოხდა, რომ აპ პროგრამით სარგებლობენ ის ბენეფიციარები რომელთა ორგანიზმშიც ხდება გაძვალეების პროცესი.

მამუკა რიყამაძე: 18 წლის ზემოთ რას ვშვებით?

ირაკლი ქარქაშაძე: გაძვალეებულია პროცესი, შესაბამისად, ეს პროგრამა მათზე არ მოქმედებს.

მამუკა რიყამაძე: მე ვგულისხმობ შშმ პირებს,

ირაკლი ქარქაშაძე: ვერ სარგებლობენ.

მამუკა რიყამაძე: მე მინდა შემოვიდე რეკომენდაციით, რომ 200 000 ქულამდე 18 წლის ზემოთ ბენეფიციარებმაც ისარგებლონ აღნიშნული პროგრამით.

ირაკლი ქარქაშაძე: დაველოდები, თქვენს რეკომენდაციას, ვიმსჯელოთ და დავამატოთ, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა.

ვარლამ გობეჯიშვილი: მინდა ორი სიტყვა ვთქვა ფსიქიკურ აშლილობის ქვე პროგრამაზე, სადაც თანხა გავაორმაგეთ და გახდა 10 000 ლარი, 50 ბენეფიციარზე, ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ააიპ „კავშირი წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი-ქუთაისის“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, ორგანიზაციის მიერ ქალაქ ქუთაისში განხორციელებული ააიპ „საქართველოს არბაითერ სამარიერ ბუნდის“ პროექტის „ქუთაისში ფსიქიატრიული სერვისების გაუმჯობესება მოწყვლადი ჯგუფებისათვის“ ფარგლებში, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები 50 პირისათვის. პროგრამა ითვალისწინებს 10 %-იან თანადაფინანსებას.

მამუკა რიყამაძე: ამ თემასთან დაკავშირებით საუბარი მქონდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ეს პროგრამა ქუთაისში ყველაზე კარგად მუშაობს.

კომისიას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამს, მხოლოდ ქალბატონმა ნინო ბიბილეიშვილმა შეიკავა თავი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სხვა დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირა
მხარი წარმოდგენილი რედაქციით.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე

მამუკა რიუამაძე

